## შეთანხმების ფურცელი

**"საქართველოს მთავრობას და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" გასაფორმებელ შეთანხმებასთან დაკავშირებით**

| უწყება | შენიშვნა | კომენტარი |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 1. წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების შემთხვევაში, საჭირო იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება; კერძოდ: „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონში და, ასევე ყველა იმ საკანონმდებლო აქტში, რომლებიც არეგულირებს იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას, ვინც ამ შეთანხმების მიზნებისათვის განხილული იქნება როგორც „ანგარიშის წარმდგენი საქართველოს ფინანსური დაწესებულება", საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა, რომელთა თანახმად, ასეთ ფინანსურ ინსტიტუტებს ექნებათ ვალდებულება, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათ შორის, საბანკო საიდუმლოება, მიაწოდონ საქართველოს შემოსავლების სამსახურს, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში; | 1. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას უზრუნველყოფს „უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA)" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების ტექსტის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ ხელშეკრულების პირობების ამოქმედების ხელშეწყობის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 2014 წლის 6 თებერვალს მთავრობის #156 განკარგულებით. |
| | 2. საქართველოს შემოსავლების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში საჭირო იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელთა თანახმადაც, შემოსავლების სამსახურს ექნება უფლება მოითხოვოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია „საქართველოს ფინანსური დაწესებულებიდან"; | 2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს ცვლილების განხორციელებას. |
| | 3. წარმოდგენილი შეთანხმების პროექტისა და მისი დანართი I-ის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით მიზანშეწონილია, ცვლილებები განხორციელდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" შესაბამის მუხლში და, ასევე, ყველა იმ საკანონმდებლო აქტში, რომლებიც არეგულირებს იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას, ვინც ამ შეთანხმების მიზნებისათვის განხილულ იქნება როგორც „ ანგარიშის | 3. გთხოვთ იხილოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირველ შენიშვნაზე კომენტარი |

| | | |
|---|---|---|
| | წარმდგენი საქართველოს ფინანასური დაწესებულება", რომლის თანახმად, ასეთ ფინანსურ დაწესებულებებს შეეძლებათ, უარი უთხრან პირს ანგარიშის გახსნაზე ან დახურონ ანგარიში, თუ მისი ანგარიში კვალიფიცირდება როგორც „ფინანასური ანგარიში" წინამდებარე შეთანხმებისა და „FATCA"-ს მიზნებისათვის;<br><br>4. შეთანხმების პროექტის ინგლისურენოვანი ტექსტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის (d) ქვეპუნქტში ფრაზა „inland waters" მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით – „internal waters", როგორც ეს განსაზღვრულია „ საზღვაო სამართლის შესახებ" გაეროს 1981 წლის კონვენციაში;<br><br>5. შეთანხმების ქართულენოვანი ტექსტი საჭიროებს გამართვას მთარგმნელობითი თვალსაზრისით და შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტთან.<br><br>6. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ექვემდებარება რატიფიკაციას საქართველოს პარლამენტის მიერ. | 4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შესაძლებლად მიაჩნია ტერმინი „inland waters"-ი დარჩეს არსებული რედაქციით (წერილი №3163, 23.04.2015)<br><br>5. გათვალისწინებულია<br><br>6. იქნება გათვალისწინებული |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | შენიშვნები არ გააჩნია | |
| საქართველოს ეროვნული ბანკი | შენიშვნები არ გააჩნია | |
| საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური | შენიშვნები არ გააჩნია | |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | შენიშვნები არ გააჩნია | |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შენიშვნები არ გააჩნია | |
| პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი | 1. შესაძლოა პრობლემა წარმოიქმნას ხელშეკრულების პროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში | 1. ხელშეკრულების ფარგლებში, 2014 წლის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება იგეგმება ფინანსური |

| | | |
|---|---|---|
| | აღნიშნული მონაცემების მოპოვებისა და გადაცემის ნაწილში 2014 წელთან მიმართებით, ვინაიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ფინანსურ დაწესებულებებს, მათ შორის კომერციულ ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს, არ აძლევს „FATCA-ს" მოთხოვნების შესაბამისად, მონაცემების მოპოვების, შენახვის და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაცემის შესაძლებლობას. ხელშეკრულება, რომელიც შექმნიდა ამ ინფორმაციის ლეგიტიმური მიზნით შეგროვებისა და გადაცემის საფუძველს საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2014 წელს არ ყოფილა დადებული.<br><br>2. ხელშეკრულების და მისი დანართის პროექტიდან არ იკვეთება ფინანსური დაწესებულებების მიერ შეერთებული შტატების ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშების და მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის წესი. აღნიშნული საკითხის მკაფიო რეგულირების მიღმა დატოვება წარმოშობს მნიშვნელოვან საფრთხეს, კერძოდ საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისას ფინანსურმა დაწესებულებებმა შესაძლოა დაარღვიონ მონაცემთა დამუშავების ადეკვატურობისა და პროპორციულობის პრინციპი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკაფიოდ და ამომწურავად ფიზიკური პირების იდენტიფიკაციის წესისა და დასამუშავებელი მონაცემების კატეგორიის განსაზღვრა. | ინსტიტუტების მიერ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.<br><br>2. „უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA)" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების ტექსტის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ ხელშეკრულების პირობების ამოქმედების ხელშეწყობის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ იგეგმება FATCA-სთან დაკავშირებით სახელმძღვანელოს შემუშავება სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროცედურები. |
| სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | მოცემული საკითხის სათანადოდ აღსრულების კუთხით, იგი უნდა იქნას განხილული და შეჯერებული სადაზღვეო კომპანიებთან, როგორც აღნიშნულის უშუალოდ განმახორციელებელ ორგანიზაციებთან. | „უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA)" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების ტექსტის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ ხელშეკრულების პირობების ამოქმედების ხელშეწყობის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრი მათ შორის არის საქართველოს სადაზღვეო კომპანიათა ასოციაციის რეგულატორულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი. |